პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„თმის მომსახურება“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: თმისა და სილამაზის მომსახურება/Hair and Beauty Services

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შედგა პროგრამა: 10119-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში / Basic Vocational Qualification in Hair and Beauty Services

მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - თმის და სილამაზის მომსახურებები, კოდი 1012, აღმწერი - „შეისწავლის თმისა და სხეულის მოვლას“.

მიზანი: პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს შრომის ბაზრისათვის ისეთი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს სილამაზის ინდუსტრიაში თმის მომსახურებას.

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - თმისა და სილამაზის მომსახურებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია შესაბამისი კონცენტრაციის საფუძველზე დასაქმდეს შემდეგ პოზიციებზე: თმის ოსტატი, პარიკმახერი, თმის სტილისტი; პირი ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდები: 5141; 5142.
- ეროვნული კლასიფიკატორის - (ეკონომიკური სახეები) კოდები: 96.02.; 96.02.0

სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის მოცულობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს 22 კრედიტის მოცულობით, 7 დარგობრივ მოდულს ჯამური 25 კრედიტის მოცულობით, სულ 58 კრედიტს.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 58 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 41 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქათულენოვანი სტუდენტებისთვის - 73 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქაუთლენოვანი სტუდენტებისთვის - 51 კვირა.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მეწარმეობა 1	2
2.	სამოქალაქო განათლება	3
3.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
4.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
	ჯამი:	**11**
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება	3
2.	მარკეტინგი და გაყიდვები	2
3.	ანგარიშსწორება, კალკულაცია და ხარჯთაღრიცხვა სილამაზის მომსახურების ობიექტებზე	3
4.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	**3**
5.	ფრჩხილის, თმის და კანის ტიპები	4
6.	სპეცხატვა და ფერთა თეორია	3
7.	დარგობრივი ინგლისური ენა	4
	ჯამი:	**22**
თმის მომსახურების მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	თმის შეჭრის ტექნოლოგია	5
2.	თმის ვარცხნილობები	3
3.	თმის ღებვა	6
4.	თმის სპა პროცედურები	1
5.	თმის ქიმიური დამუშავების ტექნოლოგია	3
6.	პრაქტიკული პროექტი - თმის მომსახურება	1
7.	საწარმოო პრაქტიკა - თმის მომსახურება	6
	ჯამი:	**25**
	სულ:	**58**

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეჭრას თმა;
2. სუბსტრაქტული სქემით აფორმიროს ძირითადი ფერები;
3. მოახდინოს პალიტრის კლასიფიცირება;
4. შეღებოს და გააღიაოს თმა;
5. შეასრულოს თმის ქიმიური დახვევა და გასწორება;
6. შეასრულოს სხვადასხვა სახის ვარცხნილობები;
7. შეასრულოს წვერ-ულვაშისა და ბაკენბარდების მოდელირება
8. შეასრულოს თმის სპა პროცედურები.